პროლეტარეპო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

30 № 209 (2370) ⊙ ფასი 3 კაპ.
ოქტომბერი, ხუთშაბათი, 1986 წ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



სასკოლო ფიზკულტურა! მრავლის მთქმელია ეს სიტყვები. ფიზიკური კულტურის ანბანის დაუფლებას, ისევე როგორც მშობლიური ენის შესწავლას, მოზარდი სკოლაში შესვლის პირველი დღეებიდანვე იწყებს. იქ, სადაც შემოქმედებითად, მაღალ დონეზე ტარდება ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები, სადაც კლასგარეშე და სკოლის გარეშე ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა მთელი პედაგოგიური კოლექტივის ღვიძლ საქმედაა მიჩნეული წარმატებებიც თვალსაჩინოა. რესპუბლიკაში ბევრია ასეთი სკოლა. ერთ-ერთი მათგანია ცხაკაიას მ. გორკის სახელობის მე-2 საშუალო სკოლა, რომლის ფიზკულტურული ცხოვრების ამსახველ სურათებს დღეს გთავაზობთ (ზემოთ — გაკვეთილს ატარებს ფიზაღზრდის მასწავლებელი მურად ჯავახია; ქვემოთ — მოსწავლეები შესვენებაზე).

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში

გუშინ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში გაიმართა მოსწავლეთა XVIII საკავშირო სპარტაკიადისათვის მზადების ოპერატიული რესპუბლიკური შტაბის მორიგი სხდომა. განიხილეს სპარტაკიადისათვის მოკრივეთა ნაკრები გუნდის მზადების საკითხი. სხდომაზე აღინიშნა, რომ ამჟამად შერჩეულია ნაკრები გუნდის 35 კანდიდატი: თბილისიდან — 15, ფოთიდან — 5, აფხაზეთიდან, ჭიათურიდან და ცხაკაიადან — 3-3, ქუთაისიდან—2, რუსთავიდან, გორიდან, ახალციხიდან და მესტიიდან—თითო. გუნდს მზადებაში დახმარებას უწევს |სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭო (ა. შენგელია). სახპარტაკიადო გუნდში წარმოდგენილი ამ სპორტული საზოგადოების 8 მოკრივე საკავშირო ნაკრებშია შეყვანილი.

სხდომაზე აღინიშნა, რომ ნაკრებს მზადებაში ხერიოზული ხელშემშლელი მიზეზები არ აქვს, წვრილმანი ორგანიზაციული საკითხები კი დაუყოვნებლივ მოგვარდება. დასახელეს ნაკრების ლიდერები: ი. ჩოქური, კ. ჩიქვინიძე, დ. ავდალიანი, ა. ქაჩიბაია. მწვრთნელებს იმედი აქვთ, რომ ცალკეული სპორტსმენები სპარტაკიადაზე საპრიზო ადგილებს დაიკავებენ. გუნდურ შედეგებს კი ჩვენს ნაკრებს მოგვიანებით დაუგეგმავენ. შეგახსენებთ, რომ გუნდურ შეჯიბრებაში მოსწავლეთა XVII საკავშირო სპარტაკიადაზე საქართველოს ნორჩმა მოკრივეებმა IV ადგილი დაიკავეს.

მიიღეს გადაწყვეტილება მოსწავლე-სპორტსმენთა სწავლის, წვრთნისა და დასვენების პირობების გაუმჯობესების შესახებ. სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს სპორტსახკომის პასუხისმგებელი მუშაკები.

შტაბის სხდომის შედეგები შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილემ გ. თალაკვაძემ.

ინფორმაცია

ტილბურგში (ჰოლანდია), მოჭადრაკე ვაჟთა დიდი საერთაშორისო ტურნირის დამთავრებამდე ექვსი ტურით ადრე ლიდერობს ლიუბოევიჩი — 5 ქულა. შემდეგ მოდიან: ტიმანი — 4 (2), კარპოვი — 4 (1). ბელიავსკის 2,5 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს.

ჰონკონგი. აქ დაიწყო ჩოგბურთელთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 20 წლის საბჭოთა სპორტსმენი მოსკოველი ანდრეი ჩესნოკოვიც ასპარეზობს. პირველ წრეში მან აშშ-ს წარმომადგენელი გრეგ ჰოლმსი დაამარცხა 6:4, 6:2.

წვიმის გამო ტურნირის სტარტზე ბევრი შეხვედრა გადაიდო. დამთავრდა მხოლოდ ორი: რამეშ კრიშნანმა (ინდოეთი) ჯონ სადრის (აშშ) აჯობა 4:6, 6:2, 6:1, პეტ კეშმა (ავსტრალია) კი ჯიმი არიასს (აშშ) — 6:4, 3:6, 6:3.

„მთასაც უნდა მოგურთალი“

ჩვენი გაზეთის მიმდინარე წლის 15 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა წერილი სათაურით „მთასაც უნდა მობურთალი“, სადაც საუბარი იყო შუახევის რაიონის ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე, რომლებიც გამოავლინა აჭარის სპორტკომიტეტის, სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ საოლქო საბჭოსა და „ლელოს“ კორესპონდენტის მიერ ჩატარებულმა რეიდმა.

ამასთან დაკავშირებით რედაქციამ შუახევის რაისაბჭოს აღმასკომიდან მიიღო პასუხი:

„შუახევის რაიონის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომი თქვენი გაზეთის 1986 წლის 15 ივლისის ნომერში გამოქვეყნებული წერილის — „მთასაც უნდა მობურთალი“ — პასუხად გაცნობებთ, რომ სტატიაში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება.

მიღებული ღონისძიებების მიუხედავად, რაიონის ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში კვლავ არის სერიოზული ნაკლოვანებები.

შუახევის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომმა სპეციალურად იმსჯელა ამ ნაკლოვანებათა გამომწვევ მიზეზებზე, მიიღო გადაწყვეტილება და დაამტკიცა შუახევის რაიონში სპორტულ დაწესებულებათა მშენებლობისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების პროგრამა 1986-1990 წლებისათვის.

გაზეთის კრიტიკული გამოსვლის შემდეგ რაიონში ერთგვარად გამოცოცხლდა ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობა: გაიმართა შეჯიბრებები თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში. სხვათა შორის, რესპუბლიკურ ნაკრებში შუახეველი მოჭიდავეებიც არიან მიწვეული. ღონისძიებები დაისახა სპორტული ბაზების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად, წელს კაპიტალურად შეკეთდა და კეთილმოეწყო 12 მარტივი ტიპის სპორტული მოედანი, კაპიტალურად შეკეთდა რაიონის ცენტრის სპორტსკოლა, რაზეც 10 ათასი მანეთი დაიხარჯა.

რაც შეეხება დაბა შუახევის ცენტრში ფეხბურთის მოედნის მოწყობას, იგი შენდებოდა ინიციატორთა მიერ, კერძოდ, მოეწყო მარტივი ტიპის მოედანი, მაგრამ აქ კომპლექსური მშენებლობა იმის გამო არ დაწყებულა, რომ იგი ზემდგომი ორგანოების მიერ მშენებლობის გეგმაში შეტანილი არ იყო. გადაწყდა ამ ადგილას პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის შენობის აგება. პროექტი ითვალისწინებს ღია და დახურული სპორტული ბაზის მოწყობასაც. ეს ბაზა მთლიანად დაკმაყოფილებს დაბის ახალგაზრდების მოთხოვნებს.

ჩვენი ახალგაზრდები სათხილამურო სპორტს მისდევენ, მაგრამ ორგანიზებული სპორტული ბაზა, რთული რელიეფის გამო, დღემდე ვერ მოვაწყეთ. მომავალში განზრახული გვაქვს ცალკეულ სოფლებში მოვაწყოთ სათხილამურო სპორტის ბაზები, გავმართოთ შეჯიბრებები.

ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ მარტო სკოლებში 2000 მანეთის სპორტული ინვენტარია შეძენილი. ცხემლისის რვაწლიან სკოლაში განაწილებით მოვიდა თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებული ფიზკულტურის სპეციალისტი. კვალიფიკაცია აიმაღლა ფიზიკური აღზრდის 10 მასწავლებელმა. კოლმეურნეობაში გადახალისდა ფიზკულტურის მეთოდისტთა შემადგენლობა.

საერთოდ, რაიონში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესების საქმეს ახლა მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან რაიონის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები.

მ. ზოსიძე,
შუახევის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე.

სსრ კავშირი — ნორკეგია 4:0

გუშინ სიმფეროპოლის სტადიონზე შედგა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი სსრ კავშირისა და ნორვეგიის ნაკრებ გუნდებს შორის.

გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა — 4:0.

წინა დღეს სიმფეროპოლში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ამ ორი ქვეყნის ახალგაზრდული გუნდები. საბჭოთა ფეხბურთელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0, ბურთი მე-17 წუთზე გაიტანა კოლევანოვმა.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ჭადრაკში

ფინიშზე სიმძაფრემ იმატა

ფრუნზე, 29 ოქტომბერი (დეპეშით, „ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი). მოჭადრაკე ქალთა 46-ე საკავშირო ჩემპიონატის ფინიშზე ბრძოლის სიმძაფრემ იმატა და ახლა გულშემატკივართა მთელი ყურადღება ლიდერებისკენაა მიპყრობილი. XIII ტურში წამყვანი ჯგუფის ორი წარმომადგენელი დამარცხდა: ბაგინსკაიტე — სახატოვასთან, ლელიუკი — ვორონოვასთან. ეშტეინ-ლევიტინას შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. იოსელიანს მცირე პოზიციური უპირატესობა აქვს ლაგვილავასთან გადადებულ პარტიაში, არახამიას შავებით ფიგურა აქვს ორ პაიკში და მოგების შანსს ინარჩუნებს სემიონოვასთან ორთაბრძოლაში. გურიელს რთული დაცვა ელის ზაიცევასთან გადადებულ პარტიაში. პრუდნიკოვამ მოუგო რუჩიევას, მუჩნიკი დამარცხდა უსკოვასთან შეხვედრაში.

ახლა ლიდერთა ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა: ნანა იოსელიანს 13 შეხვედრიდან 9 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს, ქეთევან არახამიას — 7.5(1), ირინა ლევიტინას — 7,5. ნინო გურიელს 7 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს, ზოია ლელიუკს, სვეტლანა მატვეევას (ყველას 12-12 თამაშიდან) და კამილე ბაგინსკაიტეს (13-დან) — 7-7.

იაკობ ლაპიდუსი.

რა გაკეთდა „ლელოს“ კრიტიკული გამოსვლის შემდეგ?

„მთავარი ბრძოლები წინ არის

თბილისში გრძელდება სსრ კავშირის პირველობა ფრენბურთში I ლიგის ქალთა გუნდებს შორის

ნეგისმიერი, რანგის შეჯიბრებაში სტარტზე მოპოვებულ გამარჯვებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამ თვალსაზრისით სასიხარულოა ის, რომ თბილისის სპორტის სასახლეში, ფრენბურთელ ქალთა პირველი ლიგის საკავშირო პირველობის შესარჩევი ტურნირის სტარტზე მასპინძლებმა, თბილისის „ბურევესტნიკის“ ფრენბურთელებმა აშხაბადელ სპორტსმენებს სამ პარტიაში სძლიეს და უნდა ვივარაუდოთ, რომ მოპოვებულ პირველ ქულასთან ერთად ფსიქოლოგიურადაც წელში გაიმართნენ.

ჩვენი გუნდი საკმაოდ ახალგაზრდულია, ამიტომ ფსიქოლოგიურ ფაქტორს მისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. თბილისელებს წვრთნის გამოცდილი და ცნობილი სპეციალისტი, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გივი ახვლედიანი. ბატონი გივის გუნდში მოსვლას, გულშემატკივრები ასე ფიქრობენ, ფრენბურთელთა მიერ მოპოვებული წარმატებები უნდა მოჰყვეს. თუმცა თბილისელები ჯერჯერობით პირველ ლიგაში დამკვიდრებისთვის იბრძვიან. აშხაბადის გუნდი მასპინძლებმა დამაჯერებლად დაამარცხეს. უნდა ითქვას, რომ ამისთვის მათ მთელი პოტენციის გამოვლენა არც კი დასჭირვებიათ. ეს რა თქმა უნდა, ოპტიმისტურად განგვაწყობს.

პირველი ლიგის საკავშირო პირველობის შესარჩევ ტურნირში მოსპარეზე ათი გუნდი ორ ჯგუფად არის გაყოფილი. პირველ ჯგუფში არიან დუშანბეს „მეხნატი“, ფრუნზესა და ივანოვოს „ბურევესტნიკი“, ერევნის „სპარტაკი“ და ალმა-ათის ადა; მეორე ჯგუფში — მოგილიოვის „ტეხნოპრიბორი“, ნოვოსიბირსკის „კიროვეცი“, აშხაბადის უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკური სკოლის გუნდი, ყარაგანდისა და თბილისის „ბურევესტნიკი“. ჯგუფებში პირველ და მეორე ადგილებზე გასული კოლექტივები ერთმანეთს შეხვდებიან იმ ორი გუნდის გამოსავლენად, რომლებმაც პირველ ლიგაში უნდა დაიმკვიდრონ ადგილი. სპეციალისტთა აზრით, ამ ორი ვაკანტური ადგილის კანდიდატები არიან ალმაათელი, ნოვოსიბირსკელი, მოგილიოველი და თბილისელი ფრენბურთელები.

შეჯიბრების პირველ დღეს, თბილისელთა გარდა, გაიმარჯვა ამ ოთხეულის კიდევ ორმა წარმომადგენელმა: ალმაათელებმა დაამარცხეს ივანოვოს „ბურევესტნიკი“ (3:1), ნოვოსიბირსკელებმა კი — ყარაგანდის „ბურევესტნიკი“ (3:0). ამ დღეს გაიმართა კიდევ ერთი მატჩი: ფრუნზეს „ბურევესტნიკმა“ სძლია ერევნის „სპარტაკს“ — 3:0.

მაშ ასე, შეჯიბრება დაიწყო, მაგრამ მთავარი ბრძოლები ჯერ წინ არის.

გუშინ სპორტის სასახლეში გაიმართა ფრენბურთელ ქალთა პირველი ლიგის საკავშირო პირველობის შესარჩევი ტურნირის მორიგი შეხვედრები. გაგაცნობთ მათ შედეგებს: უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკური სკოლა (აშხაბადი) — „ბურევესტნიკი“ (ყარაგანდა) 0:3, „მეხნატი“ (დუშანბე)—„ბურევესტნიკი“ (ფრუნზე) 0:3, „სპარტაკი“ (ერევანი) — ადა (ალმა-ათა) 1:3, „ტეხნოპრიბორი“ (მოგილიოვი) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი) 0:3.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XXVII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲘᲗᲥᲕᲐ: ᲡᲞᲝᲠᲢᲨᲘ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲖᲐᲠᲓᲗᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲨᲘ, ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲓᲐ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲘᲗᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ... ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲛᲘᲡᲘ ᲖᲝᲒᲐᲓᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ. ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲡ ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲐᲡ, ᲜᲔᲑᲘᲡᲧᲝᲤᲐᲡ, ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲝᲑᲐᲡ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲘᲒᲘ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡᲐᲪ. ᲣᲜᲓᲐ ᲒᲘᲕᲐᲚᲔᲤᲘᲗᲝᲗ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚ ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲝᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲣᲬᲘᲜᲐᲠᲔᲡ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲛᲘᲡᲙᲔᲕᲓᲔᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲡ, ᲠᲐᲪ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲐ.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲬᲐᲮᲜᲐᲒᲔᲑᲘ

ᲯᲐᲜᲡᲐᲦᲘ ᲡᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲐᲮᲐᲚ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲩᲔᲛᲛᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲛᲐ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲡ�წᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲛᲐ, ᲛᲔᲗᲔᲠᲔᲛᲔᲚᲐᲡᲢᲘᲡ ᲒᲝᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲝᲜᲔ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲘᲒᲝ, ᲐᲡᲔᲗᲘ ᲣᲩᲕᲔᲣᲚᲝ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲘᲛᲔᲜᲢᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲐ: ᲗᲐᲛᲐᲡᲘᲡ 50 ᲡᲐᲜᲢᲘᲛᲔᲢᲠᲘᲡ ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲔᲖᲔ ᲓᲐᲐᲬᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲐᲢᲮᲘᲗᲝᲗ, ᲨᲔᲮᲔᲗᲐᲕᲐᲖᲔ ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲔᲔᲑᲡ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲐᲛ ᲗᲐᲛᲐᲡᲘ ᲩᲐᲛᲝᲐᲒᲓᲛ. ᲛᲐᲡ�წᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲛᲐ ᲗᲐᲜᲓᲐᲗᲐᲜ ᲨᲔᲐᲛᲪᲘᲠᲐ ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲔ. „ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ“ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ ᲓᲒᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ. ᲗᲐᲛᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲗᲐ ᲗᲐᲜᲓᲐᲗᲐᲜ ᲘᲛᲐᲢᲐ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲘᲒᲝ, ᲠᲐᲪ ᲗᲐᲛᲐᲡᲐ 10 ᲡᲐᲜᲢᲘᲛᲔᲢᲠᲘᲐᲜ ᲖᲔᲓᲐᲠᲗᲡ ᲩᲐᲡᲪᲚᲔᲚᲓᲐ. ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲡᲐᲛᲘ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲚ ᲛᲘᲬᲐᲖᲔ ᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚ ᲗᲐᲛᲐᲡᲐᲡᲐᲪ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲓᲐᲐᲢᲐ. ᲤᲔᲮᲘ ᲬᲐᲛᲝᲙᲠᲔᲡ (ᲒᲐᲓᲐᲑᲘᲯᲔᲑᲐ ᲬᲔᲡᲘᲗ ᲓᲐᲨᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲘᲧᲝ). ᲛᲘᲬᲐᲖᲔ ᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚ ᲗᲐᲛᲐᲡᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲓᲐᲐᲢᲐᲮᲢᲜᲔᲜ ᲔᲠᲗᲘᲝ ᲨᲔᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲡᲐᲕᲡᲔᲑᲘᲗ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲘ ᲛᲔᲗᲐᲗᲔᲥᲚᲐᲡᲚᲘᲐᲜᲘ ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ!

ᲔᲡ ᲐᲛᲓᲐᲕᲘ ᲐᲠᲪ ᲡᲐᲮᲣᲛᲐᲠᲝᲓ ᲛᲝᲛᲘᲒᲝᲜᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲩᲔᲛᲘ ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲘᲡ ᲜᲐᲧᲝᲤᲘ ᲒᲔᲒᲝᲜᲝᲗ. ᲕᲘᲜᲛᲔ ᲗᲣ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲔᲭᲕᲓᲔᲑᲐ ᲐᲛᲐᲨᲘ, ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲘᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲪ ᲓᲐᲕᲣᲡᲐᲮᲔᲚᲗ ᲓᲐ ᲛᲐᲡ�წᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘᲪ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲒᲝᲜᲘᲐ ᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲒᲐᲮᲓᲔᲡ. ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲘᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲔᲝᲠᲔᲑᲐ ᲫᲜᲔᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲐᲠᲪ ᲪᲓᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲑᲝ ᲘᲥᲜᲔᲑᲘᲐᲜ ᲡᲐᲜᲗᲚᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲔᲡ.

ᲑᲘᲭᲔᲑᲘ? — ᲘᲙᲘᲗᲮᲐᲕᲗ ᲗᲥᲕᲔᲜ, — ᲘᲡᲘᲜᲘ ᲮᲛᲐ ᲧᲝᲩᲐᲦᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ?

ᲒᲝᲒᲝᲜᲔᲑᲖᲔ ᲧᲝᲩᲐᲦᲚᲔᲑᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲣᲠᲔᲑᲘᲐᲜ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲛᲐᲗᲘ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲐ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲡᲐᲮᲐᲠᲔ ᲛᲝᲖᲕᲠᲔᲑᲡ ᲠᲝᲛ ᲔᲙᲐᲓᲠᲔᲑᲐᲗ. ᲐᲑᲐ, ᲜᲐᲮᲔᲗ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲛᲗᲐᲒᲐᲜᲘ ᲔᲠᲔᲕᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲡᲮᲔᲣᲚᲡ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜ ᲛᲗᲐᲒᲐᲜᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲦᲔᲠᲫᲖᲔ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲬᲝᲜᲐ ᲐᲖᲘᲓᲝᲡ. ᲑᲔᲕᲠᲘ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲡ ᲐᲛᲐᲡ ᲓᲐ ᲔᲡ ᲜᲐᲙᲚᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲝᲛᲔᲢᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲚ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲡ ᲐᲥᲕᲗ. ᲗᲐᲗᲐ ᲔᲠᲗᲒᲕᲐᲠᲘ ᲡᲘᲧᲝᲩᲐᲦᲚᲔ ᲙᲘ ᲡᲣᲚᲐᲪ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ, ᲣᲤᲠᲝᲡᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ. ᲠᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲔᲡ, ᲐᲠᲪ ᲗᲣ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲔᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲚᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲚ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ? ᲐᲠᲐ! ᲩᲕᲔᲜᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠ ᲧᲝᲤᲐᲨᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲚ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ ᲗᲣ ᲐᲠᲐ, ᲡᲐᲮᲐᲠᲔ ᲛᲝᲖᲕᲠᲔᲑᲡ ᲠᲝᲛ ᲔᲙᲐᲓᲠᲔᲑᲐᲗ. ᲐᲑᲐ, ᲜᲐᲮᲔᲗ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲛᲗᲐᲒᲐᲜᲘ ᲔᲠᲔᲕᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲡᲮᲔᲣᲚᲡ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜ ᲛᲗᲐᲒᲐᲜᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲦᲔᲠᲫᲖᲔ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲬᲝᲜᲐ ᲐᲖᲘᲓᲝᲡ. ᲑᲔᲕᲠᲘ ᲐᲠᲐᲒ ᲒᲐᲜᲐᲮᲝ ᲩᲐᲡᲣᲚ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲪ ᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲒᲕᲘᲯᲔᲠᲓᲔᲡ ᲠᲝᲛ ᲛᲗᲘᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲨᲘᲜ!“, „ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲔᲡ? ᲡᲣᲚ ᲒᲐᲝᲤᲚᲔᲚᲮᲐᲠ, ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲪᲘᲪᲕᲓᲔ. ᲔᲮᲝᲨᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲒᲜᲐᲮᲝ ᲩᲐᲡᲣᲚ!“ — ᲒᲐᲜᲐ ᲘᲨᲕᲘᲐᲗᲐᲓ ᲒᲐᲘᲒᲝᲜᲔᲑᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲐᲛᲒᲐᲠᲘ ᲓᲐᲛᲘᲫᲦᲠᲐᲡ? ᲐᲠᲐᲐᲨᲘᲗᲘᲐᲗᲐᲓ! ᲐᲘ, ᲐᲡᲔ ᲕᲔᲥᲐᲩᲔᲑᲘᲗ ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲓ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐᲡ ᲣᲙᲐᲚ, ᲡᲙᲐᲛᲖᲔ ᲨᲔᲘᲜᲘᲜᲓᲐ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲙᲘᲡ ᲐᲡᲙ. ᲒᲣᲨᲘᲜᲬᲘᲜ ᲘᲒᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔᲓ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲓᲐ, ᲐᲛᲯᲠᲐᲓ ᲖᲐᲞᲝᲠᲝᲟᲘᲔᲚᲘ ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲣᲚᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲗ. ᲐᲛᲐᲨᲘ ᲗᲣ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲛᲗᲐᲒᲐᲜᲘ ᲔᲠᲔᲕᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲡᲮᲔᲣᲚᲡ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜ ᲛᲗᲐᲒᲐᲜᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲦᲔᲠᲫᲖᲔ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲬᲝᲜᲐ ᲐᲖᲘᲓᲝᲡ. ᲐᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲠᲝ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ. ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲔᲡ ᲙᲘ ᲖᲠᲓᲘᲡ ᲛᲠᲝᲛᲘᲡᲣᲜᲐᲠᲘᲐᲜᲝᲑᲐᲡ ᲣᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲪᲕᲚᲐᲡᲗᲐᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ. ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲔᲡ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲠᲐᲒᲝᲜᲘᲐ ᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲘᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲢᲣᲠᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘ ᲐᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲡ ᲙᲣᲜᲗᲔᲑᲡ, ᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲡ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲥᲪᲔᲕᲐᲡ, ᲠᲘᲗᲛᲣᲚᲘ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ ᲣᲜᲐᲠᲘᲐᲜᲝᲑᲐ, ᲠᲐᲪ ᲓᲐᲡᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ. ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲔᲡ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲠᲝ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲒᲐᲜᲐ ᲘᲒᲘ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲘᲗᲘᲗ ᲛᲘᲐᲦ�წᲘᲝᲡ ᲐᲛᲐᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲒᲐᲜᲐ ᲘᲒᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲐᲓ ᲓᲐᲛᲘᲛᲙᲘᲪᲔᲑᲡ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲛᲘᲙᲠᲝᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲨᲘ, ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲨᲘ. ᲡᲐᲐᲛᲘᲡᲝᲓ ᲛᲐᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲝᲠᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ — ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲒᲐᲜᲐ ᲘᲒᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲐᲓ ᲓᲐᲛᲘᲛᲙᲘᲪᲔᲑᲡ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲛᲘᲙᲠᲝᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲨᲘ, ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲨᲘ. ᲡᲐᲐᲛᲘᲡᲝᲓ ᲛᲐᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲝᲠᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ — ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲒᲐᲜᲐ ᲘᲒᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲘᲠᲒᲕᲚᲘᲕ ᲛᲧᲝᲤᲝᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲛᲘᲙᲠᲝᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲨᲘ, ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲨᲘ. ᲡᲐᲐᲛᲘᲡᲝᲓ ᲛᲐᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲝᲠᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ — ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲒᲝᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲪᲕᲚᲐᲡᲗᲐᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ. ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲐᲠᲐᲛᲐᲠᲗᲝ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲛᲘᲡᲘ ᲖᲝᲒᲐᲓᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ. ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲛᲘᲡᲘ ᲖᲝᲒᲐᲓᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ. ᲛᲔᲠᲔᲓᲐ, ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲡᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲯᲒᲣᲤᲔᲑᲘ? ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲩᲐᲑᲛᲣᲚᲘ ᲐᲛ ᲡᲔᲥᲪᲘᲔᲑᲨᲘ? ᲡᲐᲓᲛᲔ ᲗᲣ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲡᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲯᲒᲣᲤᲔᲑᲘ? ᲐᲘ, ᲡᲬᲝᲠᲘᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲝᲠᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ — ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲒᲝᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲪᲕᲚᲐᲡᲗᲐᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ. ᲛᲔᲠᲔᲓᲐ, ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲡᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲯᲒᲣᲤᲔᲑᲘ? ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲩᲐᲑᲛᲣᲚᲘ ᲐᲛ ᲡᲔᲥᲪᲘᲔᲑᲨᲘ? ᲡᲐᲓᲛᲔ ᲗᲣ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲡᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲯᲒᲣᲤᲔᲑᲘ ᲩᲐᲛᲝᲪᲚᲘᲚᲘᲐᲜ. ᲡᲐᲛᲘᲡᲝᲓ ᲛᲐᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲝᲠᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ — ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲒᲐᲜᲐ ᲘᲒᲘ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚ ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲝᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲣᲬᲘᲜᲐᲠᲔᲡ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲛᲘᲡᲙᲔᲕᲓᲔᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲡ, ᲠᲐᲪ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲐ.

ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲬᲐᲮᲜᲐᲒᲔᲑᲘ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ: *ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ ᲣᲗᲣᲗᲣᲚᲐᲓ ᲨᲔᲜᲘᲨᲜᲐᲕᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲕᲢᲝᲠᲛᲐ ᲑᲔᲕᲠ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲡ ᲐᲮᲚᲔᲑᲣᲠᲐᲓ ᲨᲔᲮᲔᲓᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲐᲤᲐᲡᲐ. ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲚᲘᲐ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲠᲝᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ, ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲙᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲐᲛᲐᲦᲚᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲣᲠᲘ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐ. ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲐᲮᲚᲔᲑᲣᲠᲐᲓ ᲛᲘᲡᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲕᲢᲝᲠᲛᲐ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲐᲮᲚᲔᲑᲣᲠᲐᲓ ᲨᲔᲮᲔᲓᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲐᲤᲐᲡᲐ. ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲚᲘᲐ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲠᲝᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ, ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲙᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲐᲛᲐᲦᲚᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲣᲠᲘ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐ. ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲐᲮᲚᲔᲑᲣᲠᲐᲓ ᲛᲘᲡᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲕᲢᲝᲠᲛᲐ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲐᲮᲚᲔᲑᲣᲠᲐᲓ ᲨᲔᲮᲔᲓᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲐᲤᲐᲡᲐ. ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲚᲘᲐ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲠᲝᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ, ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲙᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲐᲛᲐᲦᲚᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲣᲠᲘ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐ. ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲐᲮᲚᲔᲑᲣᲠᲐᲓ ᲛᲘᲡᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲕᲢᲝᲠᲛᲐ ᲑᲔᲕᲠᲘ

ტურნირის ექო

ლიდერთა გარეშე

საქართველოს დედაქალაქში, როგორც ვიუწყებოდით, დამთავრდა საბჭოთა კავშირის გუნდური ჩემპიონატი თანამედროვე ხუთჭიდში, რომელშიც ქვეყნის უძლიერესი 14 კოლექტივი მონაწილეობდა. საქართველოს ნაკრები შეჯიბრებას გამოეთიშა, რადგან ასპარეზობის მეორე დღეს, ცხენოსნობაში საქართველოს „დინამოს“ წევრი იური ვერბიცკი დაშავდა და ექიმებმა იგი შეჯიბრებიდან მოხსნეს. ასე რომ, ჩემპიონატი ერთით ნაკლებმა კოლექტივმა დაამთავრა. ოქროს მედლები დაისაკუთრეს მოსკოვის ოლქის „დინამოს“ წევრებმა (15873 ქულა), მეორე იყო მოსკოვის ცსკა (15761), მესამე — სომხეთის მოზარდ ხუთჭიდელთა სკოლის გუნდი (15489).

ერთეულთა შორის, სადაც მედლები არ გათამაშებულა, ლიდერთა სამეული ასე გამოიყურება: 1. ანდრეი მაკუშკინი (ხუთჭიდის გაერთიანებული ოლიმპიური ცენტრი, მოსკოვი) — 5527, 2. იგორ ფელდმანი („დინამო“, ყირგიზეთი) — 5502, 3. სერგეი სტოპინი („დინამო“ 1, მოსკოვი) — 5456. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა იგორ ბრიზგალოვმა და დიმიტრი გორდიენკომ შესაბამისად 5200 და 4629 ქულა მოაგროვეს.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ საბჭოთა კავშირის ნაკრების უფროს მწვრთნელს **ოლეგ ხაპლანოვს** ვესაუბრეთ.

— ეს პირველი შემთხვევაა, — გვითხრა ო. ხაპლანოვმა, — როცა საკავშირო ჩემპიონატი ჩატარდა არა რესპუბლიკებს შორის, არა მონათესავე უწყებებსა და სპორტსაზოგადოებებს შორის, არამედ, ასე ვთქვათ, ცალკეულ უჯრედებს შორის. მაგალითად, მოსკოვმა ოთხი გუნდი წარმოადგინა — ცსკა, „დინამოს“ ორი კოლექტივი და ხუთჭიდის გაერთიანებული ოლიმპიური ცენტრის გუნდი, მოსკოვის ოლქის სახელს დინამოელები იცავდნენ. „დინამოს“ გუნდები გამოიყვანეს, აგრეთვე, საქართველომ, მოლდავეთმა, ტაჯიკეთმა, უზბეკეთმა, ყირგიზეთმა. არმიელი სპორტსმენები გამოიყვანეს კიეველებმაც. ლატვიამ უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლა მოავლინა, სომხეთიდან მოზარდ ხუთჭიდელთა სკოლის წარმომადგენლები ჩამოვიდნენ, ლვოვიდან — ხუთჭიდის გაერთიანებული ოლიმპიური ცენტრის კოლექტივი. ერთი სიტყვით, შეჯიბრებაში ქალაქებისა და რესპუბლიკების ნაკრები გუნდები კი არა, ცალკეული კოლექტივები მონაწილეობდნენ. ამან საშუალება მოგვცა გვენახა, რა ხდება, ასე ვთქვათ, ყველაზე „დაბლა“ — უჯრედებში, ჯგუფებში. სწორედ აქ უნდა იყოს გაჩაღებული ნამდვილი შემოქმედებითი მუშაობა, „ზემოთ“ კი, ნაკრებ გუნდებში, უკვე აქედან წამოსული მასალის მხოლოდ „გაშალაშინება“, დახვეწაა საჭირო.

ჩემპიონატის ერთადერთი ნაკლი ის გახლდათ, რომ იგი წლევანდელი სპორტული სეზონის ბოლოს გაიმართა. ამის გამო ბევრმა სახელოვანმა თანამედროვე ხუთჭიდელმა ვერ შეძლო თქვენს ქალაქში გამოსვლა. ჩემპიონატი უდავოდ მოიგებდა, სასპარეზოდ რომ გამოსულიყვნენ იგორაშვილი, შვარცი, ლიპეევი... მაგრამ ჩვენი ლიდერები წელს, არ ვაქარბებ, დაიტანჯნენ — რამდენიმე ძალიან ძლიერ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობამ, საკავშირო თასის გათამაშებამ, კეთილი ნების თამაშებმა, მსოფლიოს ჩემპიონატმა და ბოლოს ხალხთა IX სპარტაკიადამ არაქათი გამოაცალა მათ. ამიტომ ჩვენ დასვენებისა და ძალის აღდგენის საშუალება მივეცით სპორტსმენებს. სხვათა შორის, ამან ერთგვარად ხელიც კი შეუწყო რეზერვის დათვალიერებას, ჩვენ ჭეშმარიტად უშეღავათო ბრძოლაში გამოვცადეთ რეზერვი, ისინი, ვინც ხვალ თუ ზეგ შეცვლიან ჩვენს აღიარებულ ლიდერებს. საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს მაკუშკინმა, მიაგკოვმა, სიდოროვმა, ემელიანოვმა, ბონდარევმა და სხვა ნიჭიერმა ხუთჭიდილებმა. მათ საკმაოდ კარგი მებრძოლური თვისებები გამოავლინეს. ისინი ვაჟკაცურად, შემართებით იბრძოდნენ გამარჯვებისათვის და თუ ყველა მათგანმა ვერ აისრულა საწადელი, ამან გული არ უნდა გაუტეხოს ახალგაზრდებს.

ბუნებრივია, საქართველოს ხუთჭიდელების უხეირო გამოსვლამ დააღონა მათი ვულშემატკივრები. მაგრამ ბრიზგალოვისა და გორდიენკოს მდგომარეობა გასაგებია—ვერბიცკის ტრავმის შემდეგ თქვენი რესპუბლიკის გუნდი გამოეთიშა ასპარეზობას და იგორს და დიმიტრისაც ბრძოლის ყოველგვარი ინტერესი დაეკარგათ, მითუმეტეს, რომ პირადი მაჩვენებლები მხედველობაში არ მიიღებოდა და ერთეულთა შორის მედლები არ გათამაშებულა.

რადგან სიტყვა მასპინძლებზე ჩამოვარდა, არ შეიძლება არ აღვნიშნო შეჯიბრების ბრწყინვალე ორგანიზაცია. ასეთი დიდი მასშტაბის ასპარეზობის გაძღოლა იოლი საქმე არ გახლავთ. ბაზებიც მომეწონა. ერთი სიტყვით, მადლობის მეტი რა გვეთქმის.

საუბარი ჩაიწერა
დავით ჭელიძემ.

გუნდი და გუნდი ვარსკვლავთა...

ხანდაზმულმა გულშემატკივრებმა, ცხადია, იცნეს სახელოვანი ქართველი მძლეოსნები — თარჯიმრბენალი ელენე გოკიელი, ბადროსმტყორცნელი ნინო დუმბაძე, სპრინტერი ლევან სანაძე. სამივე სპორტის დამსახურებული ოსტატია, მრავალ დიდ ასპარეზობათა მონაწილე და გამარჯვებული. დუმბაძეს, რომელმაც ეს-ესაა მსოფლიოს მორიგი რეკორდი დაამყარა, მეგობრებთან ერთად წარმატებას მისი პირველი მწვრთნელი და მეუღლე — საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ბორის დიაჩკოვი ულოცავს.

სამწუხაროდ, ნინო დუმბაძე აღარაა ჩვენს გვერდით. ელენე გოკიელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკურდის კათედრის ხელმძღვანელია, ლევან სანაძე მოსკოვში, საკავშირო სპორტკომიტეტის მძლეოსნობის სამმართველოს უდგას სათავეში, ბორის დიაჩკოვი კი პენსიაზეა, თუმცა კვლავინდებურად ცდილობს დახმარება გაუწიოს ახალგაზრდა მძლეოსნებს. ოთხივე საკმაოდ ცნობილი სახელია სპორტის სამყაროში, რომ იტყვიან, მძლეოსნობის ჭეშმარიტი ვარსკვლავები არიან.

ვინ არის ამ ტილოს ავტორი?

ნიკოლოზ მეტონიძე — რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი, ჟანრული და პეიზაჟური ფერწერის ცნობილი ოსტატი. ამასწინათ მას დაბადების 75 წელიწადი შეუსრულდა. ნ. მეტონიძე წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა საქართველოს სპორტკომიტეტის პროპაგანდის ბიუროს თვალსაჩინო აგიტაციის ფედერაციას, მას ახლო მეგობრობა აკავშირებს ბევრ ქართველ სპორტსმენთან. ახალგაზრდობაში თვითონაც მისდევდა სპორტს — კარგი მძლეოსანი, ფეხბურთელი და კალათბურთელი იყო, ჰოდა, აბა რა გასაკვირია, რომ სპორტულ თემაზეც შექმნა საინტერესო ნამუშევრები: გიორგი ეგნატაშვილისა და დიმიტრი იოსელიანის პორტრეტები, ტილოები: „ველოტრეკზე“, „ფეხბურთი“, „სტადიონზე“, „ვარჯიში“ და სხვა.

დავძენთ, რომ აქ წარმოდგენილმა ნამუშევარმა, რომელიც ექსპონირებული იყო სხვადასხვა გამოფენაზე, დღეს მოსკოვში, ლუჟნიკის სტადიონზე მდებარე საბჭოთა სპორტის მუზეუმში დაიდო ბინა.

ოთარ ოთარაშვილი.

საქართველოს პირველობა

განვლილ შაბათ-კვირას გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები.

I ლიგა

I-XII ადგილები

„სულორი“ (ვანი) — „არმაზი“ (მცხეთა) 2:0. მსაჯი ზ. ჯინჭარაძე (თბილისი). გოლები: ჯ. ვერულაშვილი, ა. დვალიშვილი.

„მადნეული“ (ბოლნისი) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 4:1. მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი). გოლები: სამხარაძე, დოლიძე, ჯაგოვი-2 („მადნეული“), წულაია („ეგრისი“).

„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 1:4. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი). გოლები: ბენდელიანი, სიჭინავა, ქვილითაია-2 („სამეგრელო“), მშვენიერაძე („მეტალურგი“).

უხეში თამაშისთვის მინდვრიდან გააძევეს ზესტაფონელი ფეხბურთელი ნ. კიკნაძე.

„ივერია“ (ხაშური) — „დინამო“ (ზუგდიდი) 1:1. მსაჯი ხ. პრავოვი (გაგრა). გოლები: ხარაზიშვილი („ივერია“), ტიბუა („დინამო“).

„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „კახეთი“ (თელავი) 4:1. მსაჯი გ. ხეფიაშვილი (თბილისი.) გოლები: შამათავა, გუჩუა, თ. ბეჟანია-2 („ამირანი“), გავარდაშვილი („კახეთი“).

XIII-XXIII ადგილები

„დინამო“ (გაგრა) — „დურუჯი“ (ყვარელი) 1:0. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი). გოლი: რაგანიანი.

„სალხინო“ (გეგეჭკორი) — „იმედი“ (თბილისი) 4:0. მსაჯი თ. კურტანიძე (თბილისი). გოლები: მონიავა, რუსია, მურვანიძე, გოგოძე.

მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილეს თბილისელი დ. რეხვიაშვილი.

„სპარტაკი“ (ცხინვალი) — „იმერეთი“ (ქუთაისი) 3:1. მსაჯი მ. მალღელურაძე (თბილისი). გოლები: ხუბეჯიშვილი, ჩოჩიევი-2 („სპარტაკი“), კუხალეიშვილი („იმერეთი“).

მეტოქე ფეხბურთელს განზრახ ხელით დაჭერისთვის გააფრთხილეს ცხინვალელი ვ. ჯიოევი.

„ქართლი“ (გორის რ-ნი) —„მერცხალი“ (მახარაძე) 2:1. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი). გოლები: ტაბატაძე, ჭეჭელაშვილი („ქართლი“), ჩიგოგიძე („მერცხალი“).

„სქური“ (წალენჯიხა) —ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 3:1. მსაჯი ხ. კვარაცხელია (ზუგდიდი). გოლები: აბრალავა, ზარქუა, კვირტია („სქური“), მანუჩაროვი (ფიზკულტურის ინსტიტუტი).

ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი გ. დარჩიაშვილი მინდვრიდან გააძევეს გინებისთვის.

II ლიგა

აღმოსავლეთი ზონა. „განთიადი“ (კასპი) — „მშენებელი“ (რუსთავი) 3:0, „ალაზანი“ (გურჯაანი) — „თრიალეთი“ (წალკა) 4:0, „ბახტრიონი“ (ახმეტა) — „გარეჯი“ (საგარეჯო) 4:0, „არაგვი“ (დუშეთი) — „სამგორი“ (გარდაბანი) 1:0, „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) — „გარისი“ (თეთრი წყაროო) 5:5, „მუხნარი“ (მუხრანი) — „სიონი“ (დმანისი) 3:0.

ცენტრალური ზონა. „ვარძია“ (ასპინძა) — „თორი“ (ბორჯომი) 3:2, „ჩიხურა“ (საჩხერე) — „კოლმეურნე“ (ტყიბული) 2:2, „იმერეთი“ (წულუკიძე) — „იბერია“ (ქარელის რ-ნი) 2:1, „მშენებელი“ (ჭიათურა) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი) 1:2, „ლიახვი“ (ცხინვალის რ-ნი) — „აბული“ (ახალქალაქი) 1:1.

წინა ტურის დღეს ცენტრალურ ზონაში ცაგერის „ხვამლი“ სათამაშოდ არ გამოცხადდა ახალქალაქის „აბულთან“. რესპუბლიკური პირველობის კალენდარული თამაშის ჩაშლა საგანგებო ამბავია, ამ ფაქტის შესახებ იმსჯელებს საქართველოს სსრ ფეხბურთის ფედერაციის სპორტტექნიკური კომისია, მაგრამ ცაგერის რაიონულმა ხელმძღვანელობამ უნდა გაარკვიოს თავიანთ ფეხბურთელთა თამაშზე გამოუცხადებლობის მიზეზი და შესაბამის ზომებსაც მიმართოს.

დასავლეთი ზონა. „ჩიბათი“ (ლანჩხუთი) — „კოლხეთმშენი“ (ფოთი) 3:1, „ნარინჯი“ (ქობულეთი) — „ზანა“ (აბაშა) 3:3, „კოლმეურნე“ (გაგრა) — „მეშახტე“ (ტყვარჩელი) 4:2, „მზიური“ (გალი) — „სუბტროპიკი“ (სოხუმი) 6:0, „კოლხეთი“ (ხობი) — „ნაპერწკალი“ (ოქუმი) 7:0, „ალიონი“ (გალი) — „ოდიში“ (ზუგდიდის რ-ნი) 3:4, „დინამო“-2 (სოხუმი) — „დვაბზუ“ (მახარაძე) 2:3.

გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 30 ოქტომბრისთვის

I-XII ადგილები

	თ.	მ.	ფ.	წ.	გ.	ქ.
„სამეგრელო“	17	10	4	3	28-15	24
„შევარ.“-სპი	16	10	3	3	36-18	23
„შადრევანი“	16	10	1	5	30-20	21
„მეტალ.“	17	9	2	6	31-30	20
„სულორი“	17	9	1	7	34-24	19
„დინამო“ ზ.	17	7	3	7	35-24	17
„მადნეული“	17	6	4	7	37-33	16
„კახეთი“	17	6	2	9	24-32	14
„არმაზი“	17	5	4	8	29-35	14
„ეგრისი“	17	5	3	9	20-41	13
„ამირანი“	17	5	2	10	19-34	12
„ივერია“	17	3	3	11	13-30	9

XIII-XXIII ადგილები

„დინამო“ გ.	16	9	2	5	27-18	20
„მერცხალი“	16	8	4	4	21-11	20
„სპარტაკი“	15	8	2	5	26-24	18
„სალხინო“	16	7	4	5	24-16	18
„საპოვნელა“	15	7	2	6	21-20	16
„დურუჯი“	15	5	5	5	17-17	15
ფიზკ. ინსტ.	15	5	4	6	17-20	14
„სქური“	16	5	4	7	21-30	14
„ქართლი“	15	4	4	7	8-12	12
„იმერეთი“	16	4	4	8	16-21	12
„იმედი“	15	2	7	6	10-19	11

II ლიგა

აღმოსავლეთი ზონა

„ბახტრიონი“	25	18	3	4	67-25	39
„სამგორი“	24	16	4	4	38-17	36
„მშენებელი“	24	15	4	5	54-42	34
„განთიადი“	24	14	4	6	52-34	32
„ჰერეთი“	25	13	4	8	48-30	30
„ალგეთი“	24	12	4	8	35-31	28
„არაგვი“	25	10	5	10	43-38	26
„ალაზანი“	25	9	5	11	36-37	23
„მუხნარი“	24	10	2	12	27-42	22
„თრიალეთი“	24	9	4	11	40-47	22
„გარისი“	24	7	7	10	40-38	21
„გარეჯი“	24	7	3	14	33-47	17
„კოლმეურნე“	24	6	5	13	29-42	17
„შირაქი“	24	5	2	17	33-76	10
„სიონი“	24	3	2	19	21-60	8

ცენტრალური ზონა

„საირმე“	27	23	2	2	39-10	48
„მაღარ.“	27	22	4	1	79-27	48
„იმერეთი“	27	14	4	9	47-35	32
„მესხეთი“	26	14	2	10	37-29	30
„ჩიხურა“	27	11	8	8	53-40	30
„ვარძია“	27	13	3	11	50-38	29
„თორი“	27	12	4	11	38-33	28
„კოლმეურ.“	26	13	1	12	37-37	27
„აბული“	26	12	3	11	29-33	27
„ხვამლი“	27	9	5	13	27-55	23
„მშენებელი“	25	6	10	9	25-29	22
„ლიახვი“	28	7	6	15	18-34	20
პოლ. ინს. ქ.	27	7	6	14	31-58	20
„ზარზმა“	25	6	4	15	30-49	16
„იბერია“	26	7	0	19	26-53	14

დასავლეთი ზონა

„კოლხეთი“	24	20	2	2	54-19	42
„მზიური“	25	19	3	3	89-21	41
„ოდიში“	24	18	2	3	56-21	38
„დვაბზუ“	24	11	3	10	51-39	25
„ნარინჯი“ ქ.	24	10	4	10	46-47	24
„ჩიბათი“	24	10	4	10	36-42	24
„ალიონი“	25	10	4	11	45-54	24
„მეშახტე“	24	9	5	10	50-55	23
„კოლხეთმშ.“	25	8	5	12	37-50	21
„ზანა“	25	7	7	12	50-49	21
„ნარინჯი“ გ.	24	8	4	12	22-39	20
„კოლმეურნე“	24	6	6	12	27-46	18
„სუბტრ.“	24	4	8	12	42-62	16
„დინამო“ II	24	4	5	15	34-59	13
„ნაპერწკ.“	24	4	4	16	28-64	12

ნორჩ ჩოგბურთელთა ტურნირი

თბილისში, საქართველოს პროფსაბჭოს სპორტნაგებობათა სამმართველოს „ორტებზე ჩატარდა „განთიადის“ ღია პირველობა ჩოგბურთში 1971-1973, 1974 წლებში და უფრო გვიან დაბადებულ გოგონებსა და ჭაბუკებს შორის. შეჯიბრებაში თბილისის ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსური სკოლის აღსაზრდელებთან ერთად მონაწილეობდნენ სპორტული საზოგადოებების: „დინამოს“, „ბურევესტნიკის“, განათლების სამმართველოს სპეციალიზებული ჩოგბურთის სკოლის, ქალაქების: ლენინგრადის, კიევისა და ოდესის ბავშვთა და მოზარდთა სკოლების აღსაზრდელები, სულ 96 ჩოგბურთელი.

ადგილები ასე განაწილდა:

1974 წელს დაბადებულთა შორის.

გოგონები. 1. ლიანა ქელეხსაევა (განათლების სამმართველო) თბილისი, 2. იულია დრუცა („ვოდნიკი“) ოდესა, 3. მაია აბაშიძე (განათლების სამმართველო) თბილისი.

ჭაბუკები. 1. მიხეილ მღებროვი („განთიადი“) თბილისი, 2. კონსტანტინე გაინდინოვი („დინამო“) ლენინგრადი, 3. ვალერი ხამრაი („ანტეი“) კიევი.

1971-1973 წლებში დაბადებულთა შორის.

გოგონები. 1. ანა ძამუნაშვილი („დინამო“) თბილისი, 2. თეა თარხნაშვილი (განათლების სამმართველო) თბილისი, 3. ქეთევან გოგიჩაიძე („დინამო“) თბილისი.

ჭაბუკები. 1. ირაკლი სვანაძე („განთიადი“) თბილისი, 2. გივი გორლაძე (განათლების სამმართველო) თბილისი, 3. ალექსეი ბელოვი („დინამო“) კიევი.

როგორც ხედავთ, კარგად გამომოვდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები. მათ არც ერთი პირველი ადგილი არ დაუთმიათ.

გ. ჯიჯეია,
„განთიადის“ ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსური სკოლის დირექტორი.

ვინ იფიქრებდა, თანაქალაქელებისათვის გამარჯვების მაცნე მარათონელის მიერ დაძლეული მანძილი საუკუნეების შემდეგ საშეჯიბრებო დისტანციად თუ იქცეოდა და მასზე გამართულ ასპარეზობას მარათონულ რბენას თუ დაარქმევდნენ.

ახლა მსოფლიოს მრავალ ქალაქში იმართება შეჯიბრებები მარათონულ რბენაში. ბევრმა მათგანმა: ბოსტონის, ნიუ-იორკის, ფუკუოკას მარათონებმა უდიდესი აღიარება და ავტორიტეტი მოიპოვა. ერთ-ერთი პრესტიჟული მარათონია კოშიცეს მარათონი, რომელსაც „მშვიდობის მარათონსაც“ უწოდებენ. ამ შეჯიბრებაში გამარჯვებულთ და დამარცხებულთ ერთნაირად ეამაყებათ, რომ მშვიდობის მარათონში მონაწილეობდნენ. ეს დისტანცია ჩვენც დავძლიეთ. თუმცა არც შეჯიბრებაში გამოვხულვართ და არც ხელიხელჩაკიდებულებს გვირბენია. უბრალოდ, ჩეხოსლოვაკიის ამ ქალაქის ქუჩებში გამავალ ტრასას ფეხით გავუყევით, ქალაქიდან გასულებმა კი „ფიატით“ გავაგრძელეთ გზა. ერთი სიტყვით, მანძილი სეირნობით გავლეთ, მაგრამ იქნებ ამ მოგზაურობისას მიღებული შთაბეჭდილებებიც საინტერესო იყოს თქვენთვის? მკითხველს, რომელიც არ დაიზარებს 42 კილომეტრისა და 195 მეტრის ჩვენთან ერთად გავლას, უფრო სწორად, ამ წერილის წაკითხვას, „სტარტზე“ ვიხმობთ.

კოშიცეს მშვიდობის მარათონი

მაშ ასე, კოშიცეს „ლოკომოტივის“ სტადიონი. ეს სტადიონი ახალ კოშიცეშია, ძველი კი კვერცხის გულივით ჩამჯდარა ქალაქის ცენტრში. სტადიონს ახლადაგებული სახლები დაჰყურებს თავზე. ტრადიციისამებრ, მარათონი ოქტომბრის დასაწყისში იმართება.

შეჯიბრების საზეიმო გახსნის ლამაზი ცერემონიალი და სტარტი ეროვნული სპორტული სამყარო. ზაბალამ ყველას აჯობა, მაგრამ მისმა შედეგმა (2:33.19) დიდი მოთქმა-მოთქმა გამოიწვია. ბოროტი ხმები ამბობდნენ, მსაჯებმა შედეგი არასწორად დააფიქსირეს, ან დისტანცია იყო მოკლეო. ერთი წლის მერე ლოს-ანჯელესში გამართულ ოლიმპიურ თამაშებზე ზაბალამ სეპატიკოსებს ბურთი ჩასჩარა პირში — ოქროს მედალი მოიპოვა, უახლოეს მეტოქეს 100 მეტრით გაუსწრო და ოლიმპიური რეკორდიც დაამყარა — 2:36.36.

ვიდრე კოშიცეს მარათონის პირველ შეჯიბრებებზე გიამბობდით, მშვიდობის მარათონის სახელობის მოედანზეც მოვსულვართ. აქ ოცდამეათე შეჯიბრების წლისთავზე მორბენალი მარათონელის ქანდაკება აღუმართავთ. მოქანდაკე ა. რაჩკას გამარჯვებული მარათონელი გამოუძერწია, რომელსაც ცალ ხელში გამარჯვების სიმბოლო — ზეთისხილის რტო უჭირავს.

მშვიდობის მარათონის სახელობის მოედანი. მორბენალი მარათონელის ქანდაკება.

ქანდაკება დგას მაღალ კვარცხლბეკზე, რომელზეც კოშიცეს მარათონის ყველა ჩემპიონის სახელია ამოკვეთილი. გვარი, სადაურობა და გამარჯვების წელიც მითითებულია. ეს ქანდაკება ძველ კოშიცეში დგას.

კოშიცე ჩეხოსლოვაკიის ერთ-ერთი უძველესი, ულამაზესი და საინტერესო წარსულის მქონე ქალაქია. იგი პირველად 1249 წლის ისტორიულ ანალებში მოიხსენიება, თუმცა ამ ტერიტორიაზე ქვის ხანის ნივთებიცაა ნაპოვნი. წინათ კოშიცე უნგრეთის სამეფოში შედიოდა. მან ერთ-ერთმა პირველმა 1290 წელს მიიღო სამეფოს თავისუფალი ქალაქის სტატუსი. 1657 წელს კოშიცეში სტამბასთან ერთად უნივერსიტეტი დაარსდა. ახლადდაარსებული უნივერსიტეტი შეფე ლეოპოლდმა დამტკიცა და მას უბოძა ისეთივე პრივილეგიები და უფლებები, როგორიც ჰქონდა კოლინსკის, პრაღის, ოლომოუცის, ტრნავისა და სხვა ქალაქების უნივერსიტეტებს. ახლა კოშიცეს უნივერსიტეტს მხარში უდგას კონსერვატორია, სამედიცინო, ვეტერინარული, იურიდიული, პოლიტექნიკური და სხვა ინსტიტუტები.



კოშიცეს სახელმწიფო თეატრი, სადაც „მინდია“ დაიდგა.

ამ პატარა, წყნარ ქალაქში გოთური სტილით ნაგები შენობები სჭარბობს. თითქოს გოთურ არქიტექტურას გაჯიბრებია ნეოგოთური თუ მოდერნისა და რენესანსის სტილი. ერთ-ერთი ულამაზესი ნაგებობა კოშიცეს სახელმწიფო თეატრის შენობაა, რომელიც მთავარ ქუჩაზე, ლენინის ქუჩაზეა. ახლა სწორედ ამ თეატრის წინა ვართ და აფიშებს ვათვალიერებთ. ერთ-ერთ მათგანს „მინდია“ აწერია.

წლეულს, მარტის ბოლოს, როცა კოშიცეში ვიყავით, აქ გაიმართა ოთარ თაქთაქიშვილის ოპერა „მინდიას“ პრემიერა, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა. პრემიერა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XVI ყრილობას დაუკავშირეს. კოშიცეში ეს მეორე შემთხვევა იყო, როცა ქართული ოპერა დაიდგა. პირველი „ლელა“ გახლდათ. ამას გარდა, წინა წლებში ჩეხოსლოვაკიის სხვადასხვა ქალაქებში: პრაღაში, ბრატისლავაში. და ოლომოუცში სამი ქართული ოპერა დაიდგა, მაგრამ „მინდია“ პირველია, რომელშიც საქართველოდან არავინ მიუწვევიათ, ქორეოგრაფიც კი. კოშიცელებმა „მინდია“ ტრადიციის საწინააღმდეგოდ სამ მოქმედებად დადგეს. ამას გარდა, ოპერაში ბუნების სურათების გასაცოცხლებლად საბალეტო ნომრებიც ჩაურთეს.

ერთი სიტყვით, კოშიცელებმა ყველაფერი იღონეს, რომ „მინდია“ კარგი გამოსულიყო. მსახიობები ამბობდნენ, „მინდია“ ჩვენი ერთ-ერთი საყვარელი ოპერააო.

— ქართულ ოპერას კოშიცელები პირველად მაშინ შეხვდნენ, როცა აქ „ლელა“ დავდგით, — ამბობს „ლელასა“ და „მინდიას“ დამდგმელი, ქალბატონი დრაგომირა ბარგაროვა — როცა „ლელა“ პირველად მოვისმინე, მუსიკაც მომეწონა და ხალხიც. სანამ „ლელას“ მოვისმენდი, სოხუმში მეუღლესთან ერთად მთელი თვე ვიყავი. არსად თავი ისე კარგად არ გვიგრძვნია, როგორც საქართველოში. სოხუმში ქართული სიმღერების ფირფიტები ვიყიდეთ, მათ შორის „მინდიაც“. ვიფიქრე, „მინდიას“ ჩვენთანაც წარმატება ექნებოდა, სამ წელიწადს ვოცნებობდი ამ ოპერის დადგმაზე, რეალობად კი ახლა ვაქციეთ.

კოშიცეს სახელმწიფო თეატრი, სადაც „მინდია“ დაიდგა.

ბარგაროვა კიდევ ერთი ქართული ოპერის, „აბესალომ და ეთერის“ დადგმაზე ოცნებობს.

მასპინძლებმა „მინდიასათვის“ ჩინებული პროგრამა დასტამბეს, მასში დაბეჭდილია ოთარ თაქთაქიშვილის ბიოგრაფია და პორტრეტი, ოლგა პლავაჩკოვას სტატია „საქართველოს შვილები“, საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ხელოვნების მოკლე მიმოხილვა, ანა კალანდაძის „მრავალტამიერი“ და გალაკტიონის „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“, რომლებიც ლუბომირ ფელდეკმა თარგმნა.

ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, გვახარებს, ამიტომაც ცოტა დიდხანს შევჩერდით კოშიცეს სახელმწიფო თეატრის შენობის წინ გამოკრულ „მინდიას“ აფიშასთან.

ახლა კვლავ „ჩვენი“ მარათონის ტრასას გავუყვეთ და ამ მარათონის ისტორიის საინტერესო ფურცლები გავიხსენოთ. კოშიცეს მარათონს წინათ „სლოვაკეთის მარათონი“ ერქვა. ეს შეჯიბრება, ოფიციალურად, 1938-44 წლებში არ გამართულა. იმ წლებში უნგრელებმა კოშიცეში ოთხი მარათონული რბენა მოაწყეს, მაგრამ მასში უცხოელი სპორტსმენები არ მონაწილეობდნენ. კოშიცეს მარათონის ჩემპიონთა შორის არც იმ ასპარეზობებში გამარჯვებულებს მოიხსენიებენ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ჩეხოსლოვაკია რომ განთავისუფლდა, კვლავ განახლდა კოშიცეს მარათონი, ოღონდ იმ პერიოდიდან მოყოლებული, მას „მშვიდობის მარათონი“ ჰქვია.

1945 წელს სატრანსპორტო, ფინანსური და ორგანიზაციული სიძნელეების გამო „მშვიდობის მარათონში“ უცხოელი ათლეტები არ გამოსულან. იმ წელიწადს კოშიცეს მარათონში მონაწილეობის ყველაზე დიდი სურვილი, როგორც ჩანს, შვედებს ჰქონდათ, მაგრამ რაკი ჩეხოსლოვაკიაში ჩამოსვლა ვერ მოახერხეს, სლოვაკეთში გამართული ასპარეზობის დღესვე თავიანთ ქვეყანაში ჩაატარეს „ჩეხოსლოვაკიის თავისუფლების მარათონი“.

როგორც გახსოვთ, კოშიცეში პირველი მარათონიც უცხოელების გარეშე ჩატარდა. ისინი არც 1951-53 და 1962 წლებში ჩაბმულან ასპარეზობაში. დანარჩენ შეჯიბრებებში სხვადასხვა წლებში გამოსულან: არგენტინის, ავსტრიის, ახალი ზელანდიის, ბელგიის, დანიის, ეთიოპიის, ინგლისის, საფრანგეთის, საბერძნეთის, იაპონიის, ფინეთის, კანადის, თურქეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, ორივე გერმანიის, ჰოლანდიის, ჰონდურასისა და სხვა სახელმწიფოების, აგრეთვე ყველა სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლები.

ამ შეჯიბრებაში ლატვია სანამ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შევიდოდა, დამოუკიდებლად მონაწილეობდა. 1935 წელს სწორედ ლატვიელმა გუნარ მოტმილერმა გაიმარჯვა (2:44.57,2), მაგრამ ვერც მოტმილერმა და ვერც სხვა ჩემპიონებმა ზაბალას მართლაცდა იმ დროისათვის ფანტასტიკური შედეგი მთელი 19 წლის მანძილზე ვერ გაუმჯობესეს.

სიმბოლურია, რომ 1950 წელს ეს შეძლო შვედმა კოსტა ლუნდერსონმა (2:31.20,2) — იმ ქვეყნის წარმომადგენელმა, რომელმაც „ჩეხოსლოვაკიის თავისუფლების მარათონი“ თავის სახელმწიფოში ჩაატარა.

კოშიცეს მარათონში ლუნდერსონის ოქროს მედალი მისი მეორე გამარჯვება იყო (პირველად 1948 წელს გახდა ჩემპიონი).

ლუნდერსონის რეკორდმა დიდხანს ვერ გაძლო. 1952 წელს მის შედეგს ერთბაშად ოთხმა მარათონელმა გადააჭარბა. გამარჯვებულმა ფინელმა ერიკ პუოლაკმა 2:29.10 აჩვენა.

მარია ჯავერლოვა,
ავთანდილ გურახაშვილი.
„ლელოს“ სპეც. კორ.

კოშიცე — თბილისი.

(დასასრული იქნება)

გამარჯვება სტუმრად

ბუდაბეშტი. ამ მატჩმა, ადგილობრივ — კალათბურთის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ჩატარდა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების მეორე წრის მატჩი მოსკოვის ცსკა-სა და უნგრეთის „ბანიაის“ შორის.

პირველი ნახევარი საკმაოდ მძაფრი ბრძოლით აღინიშნა. 1800-ზე მეტი მაყურებელი გულმხურვალედ უჭერდა მხარს თავის გუნდს. მოსკოვის არმიელებმა ტაიმი მხოლოდ 3 ქულით მოიგეს (40:37).

შესვენების შემდეგ სურათი მკვეთრად შეიცვალა. ცსკა-მ ხელთ იგდო ინიციატივა და მატჩის დასასრულამდე იგი ხელიდან აღარც გაუშვია — 84:58.

გამარჯვებულთა შორის თავი გამოიჩინეს ენდენმა (21 ქულა), ლოპატოვმა (17 ქულა) და გუსევმა (16). მასპინძელთაგან ამ დღეს უძლიერესი ჰოსუ იყო (26 ქულა).

აღნიშნული გუნდების სპასუხო მატჩი მოსკოვში, 4 ნოემბერს გაიმართება.

ილბლიანი სტარტი

ოლბანი (აშშ). სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა ამერიკული ტურნეს პირველი მატჩი კონტინენტური ასოციაციის ნახევრადპროფესიონალურ ნაკრებთან ჩაატარა და გაიმარჯვა 77:72 (37:35).

ბრძოლა დაძაბული და საინტერესო გამოდგა. დასაწყისში საბჭოთა კალათბურთელები დაწინაურდნენ — 7:0, მაგრამ ამერიკელებმა მალე აღადგინეს წონასწორობა და ერთ მომენტში დაწინაურდნენ კიდეც—27:26, თუმცა ტაიმი მაინც სტუმრებმა მოიგეს 2 ქულით.

შესვენების შემდეგ ინიციატივა ამერიკელებმა იგდეს ხელთ. ერთ მომენტში ისინი 16 ქულითაც იყვნენ წინ. ამ პერიოდში ბრწყინვალე ოსტატობა გამოავლინა ნაბიერეგის ყოფილმა პროფესიონალმა კენი ნატუმ. საბჭოთა კალათბურთელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ კრიტიკულ სიტუაციაში არ დაბნეულან და შორი მანძილიდან ზუსტი ტყორცნებით აღადგინეს წონასწორობა.

შეხვედრის დასკვნით ნაწილში სტუმრები უფრო ზუსტად მოქმედებდნენ და დამსახურებულ გამარჯვებასაც მიაღწიეს. უყველაზე შედეგიანი კალათბურთელი საბჭოთა გუნდიდან ვალერი ტიხონენკო იყო (18 ქულა).

საბჭოთა ნაკრები 30 ოქტომბერს საკრამენტოში კალიფორნიის შტატის სტუდენტთა ნაკრებს შეხვდება.

ეკრანზე და ეთერში

ცენტრალური ტელევიზია. 30 ოქტომბერი. დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** საუდრაკო სკოლა — **17.45 (1);** რიტმული ტანვარჯიში **19.15 (2);** ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი კალათბურთში ვაჟთა შორის: „გალათასარაი“ (თურქეთი)— „უალგირისი“ (კაუნასი) — **20.50 (2);** სსრ კავშირის ჩემპიონატი ხელბურთში: ცსკა — ასკ (მინსკი) — **21.30 (2);** საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ჰოკეიში — **23.35 (1).**

31 ოქტომბერი. დილის ტანვარჯიში — **9.00 (2).**

საქართველოს ტელევიზია. 30 ოქტომბერი. საქართველოს საფეხბურთო პირველობაზე (მიმოხილვა) — **16.55.**

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე.

„ლოკომოტივის“ სტადიონი
1, 2 ნოემბერი
რ ე ბ ბ ი
საბჭოთა კავშირის თასზე
„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „რადუგა“ (ტაგანროგი)
დასაწყისი 16 საათზე.

ინდექსი: 86435. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ., 29. უე 05911 IX